ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ იანვარი _____ 2026 წელი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
საჯარო სამართლის იურიდიული პირის
„ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის“
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით,
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2020 წლის 25 ნოემბრის №339 განკარგულებაში ცვლილების
შეტანის თ ა ო ბ ა ზ ე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის ---- იანვრის №---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 ნოემბრის №339 განკარგულებაში, კერძოდ, შეიცვალოს და შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს განკარგულების პირველი მუხლი:

,,**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი №205309637) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №3ა-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართის (ფართობით - 29.88 კვ.მ.) 7 (შვიდი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე (საკადასტრო კოდი №03.03.21.723; ნაკვეთის წინა ნომერი №03.03.01.489)“.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს ხელშეკრულებაში სათანადო ცვლილების განხორციელება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ნიშნიანიძე

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
საჯარო სამართლის იურიდიული პირის
„ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის“
პირდაპირი განკარგვის წესით, *უსასყიდლო*
უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2020 წლის 25 ნოემბრის №339 განკარგულებაში ცვლილების
შეტანის თ ა ო ბ ა ზ ე“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის
გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ (09.12.2025 წელი SSVA 00041329) მომართვა, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №3ა-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის ვადის გაზრდას 5 წლით.

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 ნოემბრის №339 განკარგულებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი №205309637) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №3ა-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართის (ფართობით - 29.88 კვ.მ.) 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე (საკადასტრო კოდი №03.03.21.723; ნაკვეთის წინა ნომერი №03.03.01.489).

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 ნოემბრის №339 განკარგულებაში, კერძოდ, შეიცვალოს და შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს განკარგულების პირველი მუხლი:

,,**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი №205309637) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №3ა-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართის (ფართობით - 29.88 კვ.მ.) 7 (შვიდი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე (საკადასტრო კოდი №03.03.21.723; ნაკვეთის წინა ნომერი №03.03.01.489) “.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის, ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების

პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 ნოემბრის №339 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ვალერიანე სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ნიშნიანიძე